



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭაიჩიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ 12 „ 2014 წელი

ეგზ. № 2

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ 60/00

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა.....	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	8
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	9
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები.....	10
შენობა- ნაგებობები.....	11
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	12
წარმომადგენლობითი ხარჯი	12
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები.....	13
სუბსიდია.....	14
სხვა ხარჯები.....	15
აუდიტის დასკვნა -პირობითი დასკვნა	16
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	17
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	17
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	19
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	19
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	20
ოფისის ხარჯები.....	21
წარმომადგენლობითი ხარჯი	22
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები.....	23
სუბსიდია.....	23
სხვა ხარჯები.....	24
სხვა ეკონომიური ნაკადები.....	25
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	26
2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	27
2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	46
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	65
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	65

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ რისკზე საპასუხოდ ჩატარდა აუდიტორული პროცედურები:

1. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლის სისწორის დასადასტურებლად გადამოწმდა წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვები, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივები და ყველა ის ოპერაცია, რომელიც თავისი ბუნებით მიეკუთვნება არაფინანსური აქტივის მიღება-გასვლას. განხორციელებული შესყიდვების შემოწმებისას აუდიტის ჯგუფი დაეყრდნო მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვების მონაცემს (რეესტრს);
2. ხარჯების მუხლში წარმოდგენილი მონაცემის წარმოშობის მტკიცების ათვის, ერთმანეთს შეუდარდა შესყიდვების რეესტრში არსებული ხარჯების

ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემი. შემოწმდა გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები;

გარდა ამისა, შემოწმდა ისეთი შინაარსის ხარჯების ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელებულა შესყიდვის გზით, კერძოდ:

- სუბსიდიის სახით გაწეულ ხარჯზე - სუბსიდიის მიმღები ორგანიზაციები და მათი გაცემის საფუძვლიანობა.
- სოციალური დახმარების მიზნით გადარიცხულ თანხებზე - სოციალური დახმარების პროგრამები და საბანკო ამონაწერი.
- წლის განმავლობაში გაცემულ ხელფასებსა და პრემიებზე - ხელფასის უწყისი და გაცემულ პრემიებზე თანამშრომელთა სახელობითი სიები.

3. მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული შესყიდვების რეესტრის სისრულის და საიმედოობის დადგენის მიზნით ერთმანეთს შეუდარდა შესყიდვების გეგმისა და მუნიციპალიტეტიდან მიღებული შესყიდვების (ბაზის) რეესტრის მონაცემები. რომელიც ასევე შედარდა შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

4. განხორციელებულ შესყიდვებზე საკასო ხარჯის დადასტურების მიზნით, გადამოწმდა საბანკო გადარიცხვები. ამ მიზნით შესყიდვების რეესტრში მოცემულ მიმწოდებლებზე გადარიცხული თანხები შედარებულ იქნა საბანკო ამონაწერთან, რომელიც მოწოდებულია მუნიციპალიტეტის მიერ და აუდიტის ჯგუფის მიერ მიღებულია როგორც სარწმუნო.

5. ბანკის ამონაწერში გადარიცხული თანხების რეალურობის (საფუძვლიანობის) დადგენისათვის შემოწმდა გადარიცხული თანხების შესაბამისობა

ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ და დოკუმენტურად დასაბუთებულ ოპერაციებთან.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ბაღდათის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი თავისივე უფლებამოსილების განსახორციელებლად აფინანსებს საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

იმის გამო, რომ 2012-2013 წლებში ფინანსურ ანგარიშგებაში გარკვეული უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 6319.1 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 5411.1 ათასი ლარი (85%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 3018.6 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 125.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 2267.5 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 6267.5 ათასი ლარი. გადასახდელების 57%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 43%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბალდათის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7372.4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6497.5 ათასი ლარი (88%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 3382.1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 125.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 2990.4 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 5770.9 ათასი ლარი. გადასახდელების 75%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 25%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, გზებისა და ქუჩების მოასფალტებისა და გარე განათების სამუშაოები.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა;

- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა;
- ✓ ხარჯების აღრიცხვა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ და „დებიტორული დავალიანების“ მუხლები. 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად წარმოდგენილი ჩამოთვლილი მუხლები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ საწყისი ნაშთების სისწორეზე.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული

ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 422.1 ათასი ლარი, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 472.7 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ მუხლისა წარმოდგენილია „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები

გარემოება. 2012 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტს იჯარით გაცემული ქონებიდან არ აქვს მიღებული საიჯარო გადასახადი, ღირებულებით 4.6 ათასი ლარი. აღნიშნული მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის შემოსავალია და უნდა აღირიცხოს „დებიტორული დავალიანების“ მუხლში. ფინანსურ ანგარიშგებაში „დებიტორული დავალიანების“ მუხლში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით.

- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) წარმოდგენილ „შემოსავლების“ მუხლისა და ფორმა №3-ის „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არსწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება. 2012 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა განახორციელა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები¹, ღირებულებით - 106.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „შენობა-ნაგებობების“ ზრდის მუხლში. აღსანიშნავია, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ირიცხება და გადაცემული აქვს „ამხანაგობებს“. მიუხედავად ამისა, მათ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გახარჯული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებულია არაფინანსურ აქტივად და ერიცხება ცვეთა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია 106.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმები №2, №3 და №5) დარიცხული ცვეთის თანხით გაზრდილია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე

¹ შპს „თბ კაპიტალი“, ხელშეკრულება № 86.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. მუნიციპალიტეტმა განახორციელა მხოლოდ 34.6 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. ფინანსურ ანგარიშგებაში „სატრანსპორტო საშუალებების მიღების“ მუხლი წარმოდგენილია 44.8 ათასი ლარით, რაც 10.2 ათასი ლარით მეტია რეალურად განხორციელებულ ოპერაციაზე.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „მანქანა დანადგარების და ინვენტარის“ მუხლი გაზრდილია 10.2 ათასი ლარით.

გარემოება 2. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „ოფისის ხარჯების“ მუხლი მოიცავს შენობის დაცვისა და საარქივო მომსახურების ხარჯებს, ღირებულებით 27.5 ათასი ლარი.² საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით³, მსგავსი ტიპის ხარჯები მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

- ხარჯების არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 27.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება. საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებს 2012 წელს პრემიის სახით მიღებული აქვთ 6.5 ათასი ლარი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

² დაცვის ხარჯი № 93 ხელშეკრულებით - 21.0 ათასი ლარი; საარქივო მომსახურება №6 ხელშეკრულებით - 6.5 ათასი ლარი.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 672.

საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკრებულოს წევრი⁴ თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემია წარმოადგენს „შრომის ანაზღაურების (ხელფასის)“ მუხლის ერთ-ერთ სახეს. შესაბამისად, არაანაზღაურებად წევრებზე პრემიის გაცემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის - დანართი ფორმა №2) „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე მგზავრების გადაყვანასთან⁵ დაკავშირებით გაწეული ხარჯიდან, 9.8 ათასი ლარი წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორ მუხლში.

გავლენა

⁴ გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა.

⁵ შპს „ტრანსპორტი 2008“. ხელშეკრულება №18.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 9.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სუბსიდი

გარემოება1. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების⁶ ფარგლებში წყლის, დენის, ინტერვიუს მომზადებისა და გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, გასწია 98.9 ათასი ლარის ხარჯი, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯი მიეკუთვნება „ოფისის ხარჯს“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 98.9 ათასი ლარით. იმავე თანხით არის შემცირებული „ოფისის ხარჯის“ მუხლი
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) წარმოდგენილი საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა 2012 წელს შეიძინა 56.9 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები⁷, რომელიც ბუღალტრულად ნაცვლად „მატერიალური მარაგების“ მუხლისა, შესულია „სუბსიდიის“ მუხლში. ბუღალტრულ ჩანაწერებში

⁶ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 2.0 ათასი ლარი, სს ენერგოპროჯორჯია - 94.4 ათასი ლარი, გაზეთი "იმერეთის მოამბე" -1.5 ათასი ლარი და ფ/კ ინგა ქვარცხავასთვის ინტერვიუების მომზადების საფასური - 1.0 ათასი ლარი.

⁷ შპს „ინტერპლასტვესტისგან“ 30.0 ათასი ლარის და შპს „ბი ემ სი გორგიასაგან“ 25.5 ათასი ლარის ღირებულების მრგვალი კვეთის მილები, ასევე სს „ბადდათისაგან“ 8-ტონიანი ცისტერნა ღირებულებით - 1.4 ათასი ლარი.

აღნიშნული შეცდომა შესწორდა და გატარდა შესაბამის ანგარიშზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაცია წარმოდგენილია როგორც „არაფინანსური აქტივის“ მუხლში, ასევე „სუბსიდიის“ მუხლში.

გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში „სუბსიდიის“ მუხლში წარმოდგენილია 51.3 ათასი ლარის ისეთი ოპერაციები⁸, რომლებიც თავისი შინაარსით არ მიეკუთვნება „სუბსიდიის“ მუხლს და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხარჯის მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №3) „სუბსიდიის“ მუხლი გაზრდილია 108.2 ათასი ლარით.
- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) წარმოდგენილი საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვადასხვა ხარჯების (კაპიტალური)“ მუხლით გასწია 2853.8 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული თანხა მოიცავს სხვადასხვა სახის ოპერაციებს, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც „არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციები“ და შესაბამისად ასახულია მუხლში „არაფინანსური აქტივის ზრდა“. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლში წარმოდგენილი თანხიდან თავისი შინაარსით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება „კაპიტალურ ხარჯად“ აღიარებულ ოპერაციებს.

⁸ ი/მ „ამირან ქოჩიაშვილთან“ გაფორმებული ხელშეკრულება №21 ქუჩების მოასფალტებასა და გზების მოხრეშვის სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვა - ღირებულებით 2.2 ათასი ლარი. ასევე შპს „ავტოგზასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა 49.1 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები.

ეს ოპერაციები ფაქტობრივად არის „არაფინანსური აქტივის ზრდა“ და მათი აღიარება (კლასიფიკაცია) „სხვადასხვა ხარჯად (კაპიტალურ)“ - არასწორია. შესაბამისად, მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის - დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

აუდიტის დასკვნა -პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბალდათის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ბალდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა - 472.7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 2074.3 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად მუხლისა - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, წარმოდგენილია „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება 1. 2013 წელს მუნიციპალიტეტს შპს „ტერექს XXI-ის“ მიმართ გააჩნდა 120.0 ათასი ლარის მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო გავრცელებულ საჯარიმო სანქციას. ასევე, გააჩნდა 33.0 ათასი ლარის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა შპს „არდი ჯგუფის“ მიმართ. აღნიშნული მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) წარმოდგენილ „შემოსავლების“ მუხლისა და „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არსწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გარემოება 2. 2013 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტს იჯარით გაცემული ქონებიდან არ აქვს მიღებული საიჯარო გადასახადი ღირებულებით 3.1 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის შემოსავალს და უნდა აღირიცხოს მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით მუხლში. ფინანსურ ანგარიშგებაში „დებიტორული დავალიანების“ მუხლში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით მუხლი არ არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) წარმოდგენილ „შემოსავლების“ მუხლისა და საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების⁹ ფარგლებში შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა, საერთო ღირებულებით 8.7 ათასი ლარი. ტექნიკის შეძენა ბუღალტრულ გატარებებში აღრიცხულია სწორად, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „ოფისის ხარჯის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 8.7 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 8.7 ათასი ლარით.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი წარმოდგენილია 913.8 ათასი ლარით. შესწავლილი დოკუმენტებით გაირკვა, რომ აღნიშნული თანხიდან 603.5 ათასი ლარის სამუშაოები¹⁰ რეალურად დასრულებულია 2013 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოები ბუღალტრულად უნდა იყოს აღიარებული „შენობა-ნაგებობების“ მიღების“ შესაბამის მუხლებში და დაერიცხოს ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

⁹ ხელშეკრულებები - №33, № 110.

¹⁰ ხელშეკრულებები - №68, №71, №72, №74, № 75, №76, №77, № 78, № 79, №90, №94, № 99.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი გაზრდილია 603.5 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. 2013 წელს შპს „ალთო 21“-მა¹¹ შეასრულა 32.6 ათასი ლარის სამუშაოები. როგორც ხელშეკრულების პირობა ითვალისწინებდა, მუნიციპალიტეტმა სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე მიმწოდებელს ანგარიშსწორებისას დაუკავა 3.3 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულება მუნიციპალიტეტის მიერ სრულად უნდა იყოს აღიარებული აქტივად და ერიცხებოდეს ცვეთა, ხოლო 3.3 ათასი ლარი აღრიცხული უნდა იყოს, როგორც კრედიტორული დავალიანება. ფინანსურ ანგარიშგებაში შესრულებული სამუშაოების ღირებულება აქტივად, ნაცვლად 32.6 ათასი ლარისა, აღიარებულია 29.3 ათასი ლარი, ხოლო 3.3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება არ არის აღრიცხული.

¹¹ ხელშეკრულება №93.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ - შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაფინანსური აქტივი“ არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები სრულად უნდა იყოს აღრიცხული აქტივად და დაერიცხოს ცვეთა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

ოფისის ხარჯები

გარემოება 1. 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „ოფისის ხარჯების“ მუხლი მოიცავს შენობის დაცვის, აუდიტორული მომსახურებისა და ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ღირებულებით 56.3¹² ათასი ლარი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მსგავსი ტიპის ხარჯები მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლს.

გავლენა

- ხარჯების არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 56.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

¹² დაცვის ხარჯი - 50.4 ათასი ლარი, ტენდერის გამოცხადება - 1.0 ათასი ლარი, შპს „იმერ აუდიტი“ (ხელშეკრულება №38) - 4.9 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურებისათვის გასცა 46.8 ათასი ლარი.¹³ თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული წესი.¹⁴ დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯი აუნაზღაურდებათ ყოველთვიურად, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ამ მიზნით, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე ანაზღაურებულია 46.8 ათასი ლარი, რომელიც ბუღალტერიაში გატარებულია, როგორც წარმომადგენლობითი ხარჯი. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

გარდა ამისა, საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებს 2013 წელს პრემიის სახით მიღებული აქვთ 6.8 ათასი ლარი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკრებულოს წევრი¹⁵ თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემია წარმოადგენს შრომის ანაზღაურების (ხელფასის) მუხლის ერთ-ერთ სახეს. შესაბამისად, არაანაზღაურებად წევრებზე პრემიის გაცემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2)
„წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი.

¹³ სულ გაცემულია 48.2 ათასი ლარი მათ შორის 1.4 წარმოადგენს მონო ბარათებზე გაწეულ ხარჯს.

¹⁴ ბაღდადის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის №38 განკარგულება .

¹⁵ გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე მგზავრების გადაყვანასთან¹⁶ დაკავშირებით გაწეული ხარჯიდან, 6.4 ათასი ლარი წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები მიეკუთვნება „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლს. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირებულია არასწორ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №2) „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 6.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

სუბსიდია

გარემოება¹. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების¹⁷ ფარგლებში წყლის, ელექტროენერგიის, ინტერვიუს მომზადებისა და გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, გასწია 122.9 ათასი ლარის ხარჯები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული ხარჯები მიეკუთვნება „ოფისის ხარჯებს“.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი

¹⁶ შპს „ტრანსპორტი 2008“. ხელშეკრულება №18.

¹⁷ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 0.9 ათასი ლარი, სს „ენერგოპროჯორჯია“ - 119.3 ათასი ლარი, გაზეთი „იმერეთის მოამბე“ - 1.5 ათასი ლარი და ფ/პ „ინგა ქვარცხავასთვის“ ინტერვიუების მომზადების საფასური - 0.9 ათასი ლარი, შპს „ჯორჯიან სთორი“- 0.3 ათასი ლარი.

შემცირებულია 122.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია სუბსიდიის მუხლი.

გარემოება 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტმა „სუბსიდიის“ მუხლიდან გასწია ისეთი სახის 36.5 ათასი ლარის ხარჯები¹⁸, რომლებიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლის ხარჯებს. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „სუბსიდიის“ მუხლში, ნაცვლად „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა.

გავლენა

- ოპერაციების არასწორ მუხლში კლასიფიცირების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 36.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სუბსიდიის“ მუხლი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა „სხვადასხვა ხარჯების (კაპიტალური)“ მუხლით გასწია 1471.2 ათასი ლარის ხარჯი. აღნიშნული თანხა მოიცავს სხვადასხვა სახის ოპერაციებს, რომლებიც ბუღალტრულ ჩანაწერებში აღიარებულია, როგორც არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციები და შესაბამისად, ასახულია „არაფინანსური აქტივის ზრდაში“. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლში წარმოდგენილი თანხიდან თავისი შინაარსით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება კაპიტალურ ხარჯად აღიარებულ ოპერაციებს. ეს ოპერაციები წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდას და მათი აღიარება

¹⁸ შპს „გეომეფის“ ხელშეკრულება №60, ღირებულება - 9.3 ათასი ლარი. ი/მ ავთო კოხოძე ხელშეკრულება №3 თანხით 27.2 ათასი ლარი (გზების გაწმენდის სამუშაოები).

(კლასიფიკაცია) სხვადასხვა ხარჯად (კაპიტალურ) - არასწორია. შესაბამისად, მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ოპერაციის არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი 1471.2 ათასი ლარით არის გაზრდილი.

სხვა ეკონომიური ნაკადები

გარემოება. 2013 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა განახორციელა საკუთრებაში არსებული ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების¹⁹ შეფასება. ქონების²⁰ ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 288.7 ათას ლარს, შეფასების შედეგად ქონების ღირებულებამ შეადგინა 300.3 ათასი ლარი. გარდა ამისა, შრომის სახლი - საბალანსო ღირებულებით 114.6 ათასი ლარი, ექსპერტის დასკვნით ჩამოფასდა 100.0 ათას ლარამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ოპერაციები არასწორად არის კლასიფიცირებული „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებისა და გასვლის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ მიღებისა და გასვლის“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლი შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი, იმავე

¹⁹ მიწა და შენობა-ნაგებობა.

²⁰ ნარჩენი ღირებულება სპორტსკოლის შენობა - ღირებულებით 286.0 ათასი ლარი; ვარციხის მიწა - 1.8 ათასი ლარი. როხის მიწა - 0.9 ათასი ლარი. გადაფასების შემდეგ : სპორტსკოლის შენობა - ღირებულებით 289.4 ათასი ლარი; ვარციხის მიწა - 7.5 ათასი ლარი. როხის მიწა - 3.4 ათასი ლარი.

თანხით არის გაზრდილი „აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღების“ და „აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლის“ მუხლები.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

